



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება



KA000031991025919

ქ. ლაგოდეხი

№ 24-ს

30 / ოქტომბერი / 2019 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ნოემბრის თვეში საწვავის ლიმიტის განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.სამსახურეობრივი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტურად წარმართვის მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარეს (ბალანსზე რიცხული ავტომობილით სარგებლობისათვის), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიის თავმჯდომარეებს ნოემბრის თვეში გამოეყოთ შემდეგი რაოდენობის საწვავი.

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 500 ლიტრი (ევრო დიზელი)
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 250 ლიტრი (ბენზინი - პრემიუმი)
- გ) კომისიის თავმჯდომარე - 50 ლიტრი (ბენზინი - პრემიუმი)

2. საწვავის მიმღებ პირებს სამსახურეობრივი ავტომობილის არქონის გამო დაერთოთ ნება ისარგებლონ საკუთარი ან მათ სარგებლობაში მყოფი ავტომობილებით.

3. მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად



კარლო ჯამბურია